ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის 2019-2022 (PGGII)

პროექტი: კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში

პროექტის მიზანი

- ევროპული და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეკონომიკურ დანაშაულთან და კერძოდ, კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან (ML/FT) ბრძოლისა და პრევენციისთვის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების განმტკიცება.

პროექტის ბენეფიციარები

- ფართო საზოგადოება, რომელსაც სარგებელს მოუტანს კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის უფრო პროფესიონალური და ეფექტური სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო;
- საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც შეძლებენ კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან უფრო ეფექტურად ბრძოლას;
- გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებიც შეძლებენ, უფრო ეფექტური წვლილი შეიტანონ შიდა რეფორმების განხორციელებაში.

პროექტის განხორციელების გზები

- თითოეული მიზნის შესაბამისი პოლიტიკური/საკანონმდებლო და შესაძლებლობების განმავითარებელი აქტივობების კომბინირების გზით;
- PGG პროგრამის პირველი ეტაპის (2015-2018) ფარგლებში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეულ შედეგებზე დაშენებით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

- კორუფციის პრევენციის ეფექტური ზომები;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და გამოვლენის კომპლექსური ზომები.

პროექტის ღირებულება

- პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 556 000 ევრო.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი დაიწყო 2019 წლის 1 იანვარს და გაგრძელდება 2022 წლის 31 აგვისტომდე.

http://partnership-governance2-eu.coe.int

- 80% დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო 20% დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ. პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭო.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

- პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის ეკონომიკური დანაშაულისა და თანამშრომლობის განყოფილება (ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი).

საკონტაქტო ინფორმაცია

<u>პროექტის გუნდი სტრასბურგში:</u>

- მუსტაფა ფერატი
  ეკონომიკური დანაშაულის
  განყოფილების ხელმძღვანელი
  mustafa.ferati@coe.int
- ევგენი ევგენიევი,
  I განყოფილების ხელმძღვანელი
  evgeni.evgeniev@coe.int
- ხოსე იგნასიო ესპინოზა გოდედ, პროგრამის
  კოორდინატორი
  ignacio-jose.espinosa-goded@coe.int
- ნათია ჟღენტი
  PGG II პროექტის ასისტენტი
  natia.jgenti@coe.int

<u>პროექტის გუნდი თბილისში:</u>

- თეა ზარნაძე
  პროექტის უფროსი ოფიცერი
  tea.zarnadze@coe.int

აღნიშნული პროექტი არის ორმხრივი პროექტი საქართველოსთან, რომელიც ხორციელდება პროგრამა "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" (ფაზა II, რომელიც ასევე მოხსენებულია, როგორც PGG II) ფარგლებში.

2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან - აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა - თანამშრომლობის მიზანმიმართული ღონისძიებები განხორციელდება პროგრამის "პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" ფარგლებში. პროგრამის პირველი ეტაპი (PGGI) დაიწყო 2015 წელს და დასრულდა 2018 წელს. პროგრამის მეორე ეტაპი (PGGII) დაიწყო 2019 წელს და გაგრძელდება 2022 წლის აგვისტომდე.

თანამშრომლობის ღონისძიებები მიზნად ისახავს, განამტკიცოს ევროპის საბჭოს წევრი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (გამონაკლისია ბელარუსი) შესაძლებლობა, განახორციელონ შიდა რეფორმები, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.